# საექსპერტო დასკვნა

## საწყობი (დოკუმენტების არქივი)

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას.საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით ( მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

შემსრულებელი: **დავით იოსელიანი**

თბილისი.
2020 წელი.

# საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, საგურამოს რაიონში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა №15ბ-ში (ს/კ 01.19.34.002.178) მდებარე მიწის ნაკვეთზე სასაწყობო შენობის არქიტექტურული, სანებართვო პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“.

ქ. თბილისში, საგურამოს რაიონში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა №15ბ-ში (ს/კ 01.19.34.002.178) მდებარე მიწის ნაკვეთზე სასაწყობო შენობის არქიტექტურული, სანებართვო პროექტი შეასრულა საპროექტო ორგანიზაციამ - **შპს „არტსტუდიო პროექტი“**.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია:
მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით ( მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

## 1. შენიშვნები

| შენიშვნა№ | განმარტება |
|---|---|

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

## 1. ტერმინები და განმარტებები

ტერმინი № განმარტება

**1. წესები** - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.
**2.შშმ** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

- **პროექტის აღწერილობა**

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა №15ბ-ში. (ს/კ 01.19.34.002.178). ტერიტორიის ფართობი შეადგენს 2710 კვ.მ-ს და ხასიათდება მცირედ ქანობიანი რელიეფით. მიწის ნაკვეთზე, საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული რელიეფის მაქსიმალურ და მინიმალურ დონეებს შორის სხვაობა იქნება 1.6 მეტრი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ტერიტორიაზე იგეგმება ერთსართულიანი სასაწყობო შენობის განთავსება დოკუმენტაციის არქივისთვის. პროექტის მიხედვით შენობის ძირითადი სივრცე, 1181 კვ.მ, დაკავებული ექნება დახლებად დალაგებულ, ქაღალდის ყუთებში მოთავსებულ საარქივო მასალებს, ხოლო შენობის „10-11“ და „გ-დ“ ღერძებს შორის მოთავსებულ ნაწილში მოეწყობა საწყობის მომსახურე საოფისე სივრცე - 49.5 კვ.მ. სასაწყობო და საოფისე სივრცე ერთმანეთისგან გამიჯნული იქნება მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით რათა შექიმენას ორი, ერთამნეთისგან დამოუკიდებელი ხანძრისაგან დაცული ფართობები.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე შენობის სიმაღლე მიწის დონის ნიშნულიდან **(424.19)** შეადგენს **16.05 მეტრს**.

საპროექტო შენობის მზიდ სტრუქტურას წარმოადგენს გაძლიერებული ბეტონის ფილაზე მოწყობილი გაძლიერებული ბეტონის სვეტების სისტემა, რომელზეც სახურავის სტრუქტურად მოწყობილია ლითონის წამწეები და დასრულებულია ლითონის პროფირირებული, მრავალშრიანი გადახურვის ფილებით (ე.წ „სენდვიჩპანელები“).

საპროექტო შენობის გარე კედლებად გამოყენებულია ლითონის პროფირირებული, მრავალშრიანი ფილები (ე.წ „სენდვიჩპანელები“).

საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი მისი სიმაღლიდან და გაბარიტებიდან გამომდინარე შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით **II-B** ტიპის კონსტრუქციას წარმოადგენს.

- ძირითადი ნაწილი

## 1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება.

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**

პროექტში გამოყენებულია საქმიანი **(სქ)** და სასაწყობო **(სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობები, კერძოდ:

1. საქმიანი ჯგუფი **სქ** (საოფისე სივრცე 0.00(425.00) ნიშნულზე) წესების **304.1** ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის, ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.

**სქ** ჯგუფის დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **9.3** (საქმიანობის წარმოების, ბიზნესის ფართობები) და დაკავებულობის დატვირთვა ჯამურად შეადგენს **5** დამკავებელს

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, საქმიანი ჯგუფი **(სქ),** მის მომიჯნავედ მდებარე სასაწყობო **(სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 3 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა), კედლებით, რაც შეესაბამება **707.3.10** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი **სწ-1** (ქაღალდების (საარქივო დოკუმენტების) საწყობი 0.00(425.00) ნიშნულზე) წესების **311.2 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს საწყობად გამოყენებულ შენობებს/სივრცეებს, რომლებიც არ კლასიფიცირდება, როგორც **სწ-2** ჯგუფის დაკავებულობა.

**სწ-1** ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი -**46.5** (საწყობები), წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს ჯამურად **26 დამკავებელს.**

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, სასაწყობო ქვეჯგუფი **(სწ-1),** მის მომიჯნავედ მდებარე საქმიანი **(სქ)** ჯგუფის დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 3 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება წესების **707.3.10 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მათი დატვირთვები სწორად არის გამოთვლილი **1004.1.2** ცხრილის მიხედვით.

***დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება*** *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-*

*ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

## 2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთოხების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით) , შენობაში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღრულია **II-B** კონსტრუქციის ტიპი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის ელემენტები-ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის კარკასი), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (ლითონის წამწეებზე მოწყობილი ლითონის პროფირირებული მრავალშრიანი გადახურვა) აკმაყოფილებს წესების **601 ქვეთავს, 601 ცხრილის** მოთხოვნებს - **II-B** კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.(0 საათი)

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

***კონსტრუქციული ტიპის დატვირთვის შეფასება*** *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

## 3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია **წესების მე-5 თავის 503-ცხრილის** მიხედვით შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან **(II-B)** გამომდინარე შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.

იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო შენობა აკმაყოფილებს **II-B** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, წესების **503-ე ცხრილის** მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე შეადგენს **16.8** მეტრს, ხოლო დასაშვები სართულიანობა საპროექტო დოკუმენტაციით მოცემული თითოეული დაკავებულობისთვის **(სქ და სწ-1)** განსაზღვრულია ინდივიდუალურად და შეადგენს:

**სქ** ჯგუფის დაკავებულობებისთვის **4** სართულს, ხოლო **სწ-1** ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის - **3** სართულს.

წესების **503 ცხრილის** მიხედვით სართულის დასაშვები ფართობი შეადგენს **სქ** ჯგუფის დაკავებულობისთვის - **2140 კვ.მ-ს,** ხოლო **სწ-1** ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის - **1630 კვ.მ-ს.**

საპროექტო შენობის შემოთავაზებული სართულიანობაა მიწის ზემოთ **1 სართული** შემოთავაზებული სიმაღლე გამოთვლილია წესების მიხედვით და შეადგენს **16.00 მეტრს (შენობის სიმაღლე განსაზღვრულია მიწის დონის ნიშნულიდან -424.19 მეტრი)**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი დაკავებულობების **(სქ** და **სწ-1** ჯგუფები) დაკავებულობის მაქსიმალური ფართობი სართულზე შემდეგნაირია:

- **სქ** - ჯგუფი - **49.5 კვ.მ**
- **სწ-1**-ქვეჯგუფი - **1181 კვ.მ**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული შენობის, სიმაღლე, სართულიანობა და დაკავებულობის ფართობები განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს **მე-5 თავის 503 - ცხრილის მოთხოვნებს.**

***სიმაღლისა და ფართობის შეფასება*** *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

## 4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული

სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე წესების **მე-10 თავის** შესაბამისად.

წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის,1021.2(1) და 1021.2(2) ცხრილებიდან** გამომდინარე საპროექტო შენობას ემსახურება მინიმუმ 3 შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარი და 1 გარე გასასვლელის გზა-კიბე, რომელბიც ჩაუხერგავი ბილიკების გავლით უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეებს.

**გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მიწისპირა სართულზე (0.00(425.00 ნიშნული) განთავსებულ დაკავებულობებს **(სქ და სწ-1 ჯგუფები)** ინდივიდუალურად ემსახურება გასასვლელი საშუალებები, კერძოდ:

- **სქ** ჯგუფი - 1 გასასვლელის გზა-კარი
- **სწ-1** ქვეჯგუფი - 2 გასასვლელის გზა-კარი და 1 გარე გასასვლელის გზა-კიბე

გასასვლელების რაოდენობა და განთავსება აკმაყოფილებს წესების **1021.2.2 ქვეთავის** და **1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობას გააჩნია ორზე მეტი გასასვლელი (სქ ჯგუფის დაკავებულობას ემსახურება 1 გასასვლელის გზა-კარი) შესაბამისად წესების **ქვეთავი 1016-სა და ცხრილი 1016.2-ის** მიხედვით გასასვლელთან მისადგომი მაქსიმლური სავალი მანძილი დაშვებულია 23 მეტრი **სქ ჯგუფის** დაკავებულობისთვის და 60 მეტრი - **სწ-1 ქვეჯგუფის** დაკავებულობებისთვის, რაც საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დაცულია.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია წესების **1009 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას, ხოლო გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** შესაბამისად, ყველა მათგანი აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

***გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება****განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

## 5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

როგორც ზემოთ აღინიშნა გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია წესების **1009 ქვეთავის** შესაბამისად. გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის **(16 დამკავებელი)** მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1.** ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(7.6 მმ)** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე **(0.9 მეტრი)** მეტი სიგანის **(1.31 მეტრი)** გზა-კიბე და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის.

გარე გასასვლელის გზა-კიბე აკმაყოფილებს წესების **1026.3, 1026.5 და 1026.6 ქვეთვების მოთხოვნებს** ღია მხარესთან, მდებარეობასთან და დაცვასთან დაკავშირებით, ასევე აკმაყოფილებეს წესების **1009.7, 1009.8** და **1009.15** ქვეთავების მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით (იხილეთ გზა-კიბის დეტალური ნახაზი).

გასასვლელის გზა-კარები მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2**. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ)** გასასვლელის გზა-კარების მოთხოვნილი სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს **0.82 მეტრს,** ხოლო პროექტით გათვალისწინებული, გასასვლელების სისტემაში შემავალი ყველა გზა-კარების სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს მინიმუმ **0.82, 0.89 და 0.95 მეტრს.**

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებში ჩასმული ყველა გზა-კარი აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას ღიობის ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით.

შენობის სართულებზე არსებული თითოეული დაკავებულობისთვის და იმ სივრცეებისთვის, რომლებშიც ეს დაკავებულობები ფუნქციონირებენ გასასვლელების და გასავლელების (ავეჯებს შორის-სასაწყობო და საქმიან ფართობებზე) რაოდენობა (**1021 ქვეთავის** მიხედვით) და გამტარუნარიანობა, განსაზღვრულია **1008 ქვეთავის**, დაკავებულობის დატვირთვის (**1004 ქვეთავი**) და **1005.3.2**. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორის **(5,1მმ)** მიხედვით, აკმაყოფილებს განსაზღვრულ ყველა მინიმალურ მოთხოვნას, ასევე წესების **1017.5 ქვეთავის** მოთხვნას გასავლელის დაშვებულ მინიმუმთან (90 სმ) დაკავშირებით.

***გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.*** *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

## 6. მისაწვდომობის შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მე-**11-თავის** მოთხოვნების მიხედვით საპროექტო შენობის ყველა დაკავებულობა **(სწ-1 და სქ)** მისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, მათ შეუძლიათ შენობაში შესვლა, სასურველი დანიშნულების სივრცეში შესვლა-გამოსვლა და შენობიდან გამოსვლა, ასევე მე-**11 თავის** მიხედვით განსაზღვრულია მისაწვდომი მთავარი შესასვლელი.

წესების **1109 თავის მიხედვით** აღნიშნული ჯგუფის დაკავებულობებს ემსახურება საქმიანი ჯგუფის დაკავებულობაში განთავსებული მისაწვდომი წყალსადენის ფიქსირებული ელემენტები და ტუალეტები.

***მისაწვდომობის შეფასება****განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

## 7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება.

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია წესების **705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება **705.8 ცხრილის** მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობისთვის განსაზღვრულია ხანძარსაწინააღემდეგო მანძილები წესების მოთხოვნების შესაბამისად.

**„დ'-ა", „1-11", „11-1" და „ა-დ'"** ღერძებში მდებარე გარე კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილები 3 მეტრიდან 23.3 მეტრის ფარგლებში და წესების **602 ცხრილის** მიხედვით კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე **(II-B)** არ საჭიროებს გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხის უზრუნველყოფას.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გარე კედლებში ჩასმული ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობები (კარები,ფანჯრები) აკმაყოფილებს წესების **705.8 ცხრილების** მოთხოვნებს ფართობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხის მიხედვით, ასევე **705.8.5 და 716 ქვეთავის** მოთხოვნებს ღიობების შვეულ გამიჯვნასთან და ღიობის დამცავებთან დაკავშირებით.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გარე კედლების მოწყობა უნდა განხორციელდეს წესების **1404, 1405, 1406, 1407 და 1408 ქვეთავების** მოთხოვნების

შესაბამისად, გარე კედლების საფართან, წვად, ლითონშემცველ და მოსაპირეკეთებელ მასალებთან დაკავშირებით.

***გარე კედლებისადმი მოთხოვნების*** **შეფასება** *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

## 8. სახურავის ანაწყობების შეფასება.

სახურავის სტრუქტურის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხის განსაზღვრულია წესების **601 ცხრილის** მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად. ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება **II-B** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მინიმუმს (0 სთ) და აკმაყოფილებს 0 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

შენობის გადახურვის ტიპი არის ქანობიანი (ქანობით მინიმუმ 8.85%). გადახურვის კონსტრუქციის შემადგენლობა:

- ლითონის პროფილირებული, მრავალშრიანი ფილა
- ლითონის წამწეები

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი სახურავის კონსტრუქცია წესების **1507.4 ქვეთავის** მიხედვით აკმაყოფილებს სახურავის ლითონის პანელებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. სახურავის ლითონის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის B კლასს **(ცხრილი1505.1ა)** სახურავის ბურულის ხარისხი განსაზღვრულია წესების **1507.4.3(1) ცხრილის** შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს ASTM A 755 ტიპს ან მსაგვს, ეკვივალენტური სატნდარტის მოთხოვნას.
შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **705.11 ქვეთავის პირველი** გამონაკლისის მიხედვით გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხის გამო (0 საათი) შენობას პარაპეტი არ მოეთხოვება.

***სახურავის ანაწყობების შეფასება*** *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

## 9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო შენობის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების **508 ქვეთავის** შესაბამისად. პროექტში წარმოდგენილია 2 შერეული დაკავებულობა **სწ-1** და **სქ** ჯგუფების სახით.
**სწ-1** (ქაღალდების საარქივო დოკუმენტების) საწყობი 0.00(425.00) ნიშნულზე) და **სქ** (საოფისე სივრცე 0.00 (425.00) ნიშნულზე) ჯგუფების დაკავებულობები ერთმანეთისაგან გამიჯნულია მინიმუმ 3 საათიანი ცეცხლმედეგობის ცეცხლმედეგი კედელბით, რაც შეესაბამება წესების **707.3.10 ქვეთავის** და **707.3.10 ცხრილის** მოთხოვნებს ცეცხლისაგან დაცულ ფართობებთან დაკავშირებით.

***ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება*** *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

## 10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრული დაკავებულობებიდან, ასევე, შენობის ფართობიდან და სიმაღლიდან გამომდინარე საპროექტო შენობა უნდა აღიჭურვოს შემდეგი ხანძრისაგნ დაცვის აქტიური სისტემებით:

**სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემა** (ყველა დაკავებულობაში)

**ხელის ცეცხლმაქრები** (ყველა ჯგუფის დაკავებულობებში)

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **903.2.9 ქვეთავის** მოთხოვნებიდან გამომდინარე **სწ-1** ქვეჯგუფის დაკავებულობაში არ არის აუცილებელი ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა, ავტოსაშხეფი სისტემა არ მოეთხოვება ასევე **სქ ჯგუფის** დაკავებულობასაც.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **905.3 ქვეთავის** მიხედვით შენობაში არ არის აუცილებელი სახანძრო მილდგარების სისტემის მოწყობა.

წესების მე-9 თავის **907.2, 907.2.15 და 907.4.2 ქვეთავების** შესაბმისად **სწ-1 და სქ** ჯგუფის დაკავებულობებში, დაყენებულია სახანძრო განგაშის შეტყობინების და ცეცხლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები.

წესების **906.1 ქვეთავის** მიხედვით ხელის ცეცხლმაქრების განთავსებულია **სქ და სწ-1,** ჯგუფის დაკავებულობებში **906 ქვეთავის** შესაბამისად.

***ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება*** *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

## 11. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ჯგუფების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს წესების **მე-16** თავის შესაბამისად .

პროექტით გათვალისწინებული თითოეული დაკავებულობისთვის **(სქ და სწ-1)** განსაზღვრულია წყალსადენისისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობადა მინიმალური მოთხოვნები **1602.2 ქვეთავისა** და **1602.1 ცხრილის** მიხედვით.

წესების **1602.1 ქვეთავის** მიხედვით **დს** ჯგუფის დაკავებულობას არ მოეთხოვება წყალსადენის ფიქსირებული ელემენტები.

წყალსადენი სისტემების და ფიქსირებელი მოწყობილობების აუცილებელი მისაწვდომი საერთო რაოდენობა სწორად არის დადგენილი**1109.2 ქვეთავის** მიხედვით.

***წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.*** *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

- **დასკვნა**

ქ. თბილისში, საგურამოს რაიონში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა №15ბ-ში (ს/კ 01.19.34.002.178) მდებარე მიწის ნაკვეთზე სასაწყობო შენობის არქიტექტურული, სანებართვო დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები", ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია მაღალ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა საჭირო ინფორმაციას.

*საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

**საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.**

ექსპერტი: დავით იოსელიანი

თარიღი : 01.06.2020

# საქართველო

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის
სახელობის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემია

# ბაკალავრის დიპლომი

**TSAA №** 000108

არქიტექტურის

ფაკულტეტის 2011 წლის 04 აგვისტოს № 42

გადაწყვეტილებით დავით იოსელიანს მიენიჭა

არქიტექტურის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

დეკანი
Dean

ნოდარ ამაშუკელი
Nodar Amashukeli

რექტორი
Rector

გიორგი ბუღაძე
Giorgi Bughadze

თბილისი
TBILISI

07 რიცხვი/ day 02 თვე/month 2012 წელი/year

# GEORGIA

**APOLLON KUTATELADZE**
**TBILISI STATE**
**ACADEMY OF ART**

## BACHELOR'S DIPLOMA

**TSAA №** 000108

By Decision № 42 (04 August 2011) of the Faculty of

Architecture

Davit Ioseliani

was awarded the Degree of Bachelor of

Architecture

Seal

**სარეგისტრაციო №** 240
**REGISTRATION**

დ. აღმაშენებლის 117
ტელ/ფაქსი: (99532) 2964657
Email: arko04@mail.ru

D. agmashenebeli 117,
Tel/Fax: (99532) 2964657
Email: arko04@mail.ru

06.08.2017

# ც ნ ო ბ ა

ეძლევა მოქალაქე დავით იოსელიანს (პირადი № 01017039754) მასზედ, რომ 2011 წლის ხუთი აგვისტოდან 2017 წლის ხუთ იანვრამდე ის მუშაობდა შპს "Arko 04"-ში არქიტექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა დანიშნულების ადგილზე წარსადგენად.

შპს "Arko 04" დირექტორი
დავით გუნცაძე

# შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი

| |
|---|
| გამოყენებული წესები - **„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“** |

| **ჩამოთვალეთ შენობის დაკავებულებები და აღწერეთ თითოეული გამოყენება** |
|---|
| სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი **სწ-1** (ქაღალდების (საარქივო დოკუმენტების) საწყობი 0.00(425.00) ნიშნულზე) |
| საქმიანი ჯგუფი **სქ** (საოფისე სივრცე 0.00(425.00) ნიშნულზე) |

| ***კონსტრუქციის ტიპი:*** | |
|---|---|
| **განსაზღვრეთ კონსტრუქციის არსებული შენობისთვის:**<br>მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B | |
| **განსაზღვრეთ კონსტრუქციის ტიპი ახალი შენობისთვის:**<br>მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B | **II-B** |
| **შერეული კონსტრუქციის შემთხვევაში მიუთითეთ ტიპები, რომელიც გამოყენებული იქნება, განსაზღვრეთ ტიპები და მათი მდებარეობა:** | |

| **სიმაღლის შეზღუდვები**<br>ცხრილი 503 -ის მიხედვით | | |
|---|---|---|
| **დაკავებულობები** | **დასაშვები სართულიანობა** | **შემოთავაზებული სართულიანობა** |
| სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი **სწ-1** | **3** | 1 |
| საქმიანი ჯგუფი **სქ** | **4** | 1 |
| | | |
| | **დასაშვები სიმაღლე** | **შემოთავაზებული სიმაღლე** |
| **შენობის სიმაღლე =** | **16,80** | **16,056 (მიწის დონის ნიშნული = 424,19)** |
| **მიწის დონის ზემოთ სართულ(ებ)ის რაოდენობა =** | **1** | **1** |

| ფართობის შეზღუდვები<br>ცხრილი 503 -ის მიხედვით | | |
|---|---|---|
| **დაკავებულობები** | **დასაშვები ფართობი (სართულზე)** | **შემოთავაზებული ფართობი (სართულზე)** |
| საქმიანი ჯგუფი სქ | **2140 კვ.მ** | **49.5 კვ.მ** |
| სასაწყობო ჯგუფი სწ-1 | **1630 კვ.მ** | **1181 კვ.მ** |
| | | |
| **შემოთავაზებული ფართობების ჯამი =** | **1230.5 კვ.მ** | |
| **სართულების რაოდენობა =** | **1** | |
| **შენობის საერთო ფართობი =** | **1280 კვ.მ** | |

| გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები<br>ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გარე კედელი** | **ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი** (მეტრი) | **ცეცხლმედეგობის ხარისხი** (საათი) | | **კედლის ღიობების ფართობი** (კედლის %) | | | | | |
| | | **მოთხოვნილი** | **გათვალისწინებული** | **დასაშვები** | | | **გათვალისწინებული** | | |
| | | | | **დაცული** | **დაუცველი საშხეფებით** | **დაუცველი საშხეფების გარეშე** | **დაცული** | **დაუცველი საშხეფებით** | **დაუცველი საშხეფების გარეშე** |
| ფასადი დ'-ა ღერძებში | 9.4 | 0 | 0 | შეუზღუდავი | შეუზღუდავი | შეუზღუდავი | - | - | 8.91 % |
| ფასადი 1-11 ღერძებში | 10.45-9.27 | 0 | 0 | შეუზღუდავი | შეუზღუდავი | შეუზღუდავი | 0 | 0 | 0.49 % |
| ფასადი 11-1 ღერძებში | 3.0-3.5 | 0 | 0 | შეუზღუდავი | შეუზღუდავი | შეუზღუდავი | 0 | 0 | 17.23 % |
| ფასადი ა-დ' ღერძებში | 3,00-23.3 | 0 | 0 | შეუზღუდავი | შეუზღუდავი | შეუზღუდავი | 0 | 0 | 3.16 % |

| ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დაკავებულობები/სივრცეები /გასასვლელი საშუალებები | ავტოსაშხეფი სისტემა | ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები | სახანძრო განგაშისა, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები | სახანძრო მილდგარების სისტემები | კვამლის საკონტროლო სისტემები | ხელის ცეცხლმაქრები | საავარიო განგაშის სისტემები |
| საქმიანი ჯგუფი<br>სქ | არა | არა | არა | არა | არა | კი | არა |
| სასაწყობო ჯგუფი<br>სწ-1 | არა | არა | კი | არა | არა | კი | არა |
| დერეფანი | - | - | - | - | - | - | - |
| სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები | | | | არა | | | |
| სახანძრო ტუმბოები და წყლის რეზერვუარი | | | | არა | | | |

| განიავებისადმი მოთხოვნები | | |
|---|---|---|
| დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი საშუალებები | ბუნებრივი განიავება | ხელოვნური განიავება |
| სასაწყობო ჯგუფი<br>სწ-1 | არა | კი |
| საქმიანი ჯგუფი<br>სქ | არა | კი |
| დერეფანი | - | - |

| თითოეული სართულიდან გასასვლელი საშუალება | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სართულები | დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი | მოთხოვნილი გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა | გათვალისწინებული გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა და ტიპი | გასასვლელი საშუალებების სიგანე(მეტრი) | | | | | |
| | | | | გზა-კიბეები | | დერაფანი, | | გასასვლელის გზა-კარი | |
| | | | | მოთხოვნილი | გათვალისწინებული | მოთხოვნილი | გათვალისწინებული | მოთხოვნილი | გათვალისწინებული |
| მიწისპირა სართული | სქ<br>დ.დ=5 | 1 | 1<br>გასასვლელის გზა-კარი | - | - | 0.90<br>(გასავლელი) | მინ. 0.90<br>(გასავლელი) | 0.82 | 0.82 |
| | სწ-1<br>დ.დ=26 | 1 | 2<br>გასასვლელის გზა-კარი<br>1<br>გარე გასასვლელის გზა-კიბე | 0.90 | 1.31 | 0.90<br>(გასავლელი) | 1,17-2,05<br>(გასავლელი) | 0.82<br>(თითო) | 0.89<br>და<br>0.95 |

| წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა<br>ცხრილი 1602.1-ის მიხედვით | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სართულები | დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი | ფიქსირებული მოწყობილობები(ცალი) | | | | | | | | | | | |
| | | უნიტაზი | | ტუალეტის ხელსაბანები | | აბაზანა/შხაპი | | სასმელი წყლის ფანტანი | | სამომსახურეო ნიჟარა | | სამზარეულოს ნიჟარა | |
| | | მოთხოვნილი | წინადადება გათვალისწინებული | მოთხოვნილი | წინადადება გათვალისწინებული | მოთხოვნილი | წინადადება გათვალისწინებული | მოთხოვნილი | წინადადება გათვალისწინებული | მოთხოვნილი | წინადადება გათვალისწინებული | მოთხოვნილი | წინადადება გათვალისწინებული |
| მიწისპირა სართული | სქ და სწ-1<br>დ.დ=31 | 1 | 1 | 1 | 1 | - | - | 1 | 0 | 1 | 0 | - | - |